დღეს „აცტეკზე“: სსრ კავშირი—მექსიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 105 (4099)

1970 წ. 31 მაისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატებში

1958 წელი

ეს იყო საბჭოთა ფეხბურთელთა დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატებში. ჩვენი ნაკრები შესარჩევ ჯგუფში მოხვდა პოლონეთისა და ფინეთის გუნდებთან ერთად. საბჭოთა ნაკრებმა ფინელებს მოუგო ორჯერ: მოსკოვში — 2:1 და ჰელსინკში — 10:0, შინ დაამარცხა პოლონეთის გუნდი — 3:0, მაგრამ ხოჟუვში წააგო მასთან — 1:2. ვინაიდან პოლონელებს ასევე ორჯერ ჰყავდათ დამარცხებული ფინელები, ქულები გაიყო (6-6) და საჭირო შეიქნა დამატებითი მატჩის დანიშვნა. იგი შედგა ლაიპციგში და დამთავრდა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით — 2:0.

ფინალურ თამაშებში (შვეცია) ჩვენი ნაკრები IV ჯგუფში მოხვდა ძალიან ძლიერ კამპანიაში ბრაზილიელებთან, ინგლისელებთან და ავსტრიელებთან ერთად. მატჩი ინგლისელებთან დამთავრდა ფრედ — 2:2, ავსტრიელები დამარცხებულ იქნენ — 2:0, ხოლო ბრაზილიელებთან წავაგეთ — 0:2. აქაც საჭირო შეიქნა დამატებითი შეხვედრის ჩატარება ინგლისელებთან და გამარჯვება საბჭოთა გუნდს ხვდა წილად — 1:0.

მეოთხედფინალში ჩვენი მეტოქე იყო შვეციის ნაკრები. მასპინძლებმა შეძლეს გამარჯვება — 2:0.

საბჭოთა ნაკრებს წვრთნიდნენ გ. კაჩალინი და მ. იაკუშინი.

1962 წელი

შესარჩევ ჯგუფში ერთად მოხვდნენ სსრ კავშირი, თურქეთი და ნორვეგია. ჩვენმა გუნდმა ყველა საკვალიფიკაციო შეხვედრა მოიგო: თურქეთთან — 1:0 და 2:1, ნორვეგიასთან — 5:2 და 3:0.

ფინალურ ეტაპზე, რომელიც ჩილეში გაიმართა, I ჯგუფში კენჭისყრით მოხვდნენ სსრ კავშირი, ურუგვაი, კოლუმბია, იუგოსლავია. ურუგვაელები და იუგოსლავიელები შესაბამისად დამარცხებულ იქნენ ანგარიშით 2:1 და 2:0, ხოლო მატჩი კოლუმბიასთან ფრედ დამთავრდა — 4:4.

მეოთხედფინალში საბჭოთა გუნდი კვლავ მასპინძლებს შეხვდა და დამარცხდა — 1:2.

ნაკრებს წვრთნიდა გ. კაჩალინი. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველი ფეხბურთელები გ. ჩოხელი, მ. მესხი, ს. მეტრეველი და ს. კოტრიკაძე.

1966 წელი

შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა ფეხბურთელთა მეტოქენი იყვნენ დანია, უელსი და საბერძნეთი. ჩვენმა გუნდმა საბერძნეთს მოუგო ანგარიშით 3:1 და 4:1, დანიას — 6:0 და 3:1, უელსის ნაკრები მოსკოვში დამარცხდა ანგარიშით 1:2, მაგრამ კარდიფში რევანში აიღო ასეთივე ანგარიშით — 2:1.

ფინალურ თამაშებში (ინგლისი) საბჭოთა ნაკრები მოხვდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლის, ჩილისა და იტალიის გუნდებთან ერთად და დაამარცხა სამივე მეტოქე (კორეელებთან — 3:0, ჩილიელებთან 2:1, იტალიელებთან — 1:0).

მეოთხედფინალში ჩვენმა გუნდმა უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა უნგრელები — 2:1.

ნახევარფინალური მატჩი გფრ — სსრ კავშირი მოიგეს გერმანელებმა (2:1), რომლებიც ფინალში გავიდნენ, ჩვენი გუნდი კი III ადგილისთვის შეხვდა პორტუგალიას და დამარცხდა — 1:2.

საბჭოთა ნაკრებს წვრთნიდა ნ. მოროზოვი. ქართველ ფეხბურთელთაგან გუნდში თამაშობდნენ მ. ხურცილავა, გ. სიჭინავა, ს. მეტრეველი და ა. კავაზაშვილი.



IX

MEXICO 70

ნახ. გ. იაშვილისა.

ცისფერ ეკრანებზე

მკითხველთა თხოვნით ვაქვეყნებთ მეხიკოდან მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების სატელევიზიო გადაცემათა დაწყების სავარაუდო განრიგს:

31-V, სსრ კავშირი — მექსიკა — 21.55.
3-VI, რუმინეთი — ინგლისი — 20.30 ჩანაწერით.
4-VI, ჩეხოსლოვაკია—ბრაზილია — 20.30 ჩანაწ.
7-VI, სსრ კავშირი — ბელგია—19.45 ჩანაწერით.
7-VI, რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია — 11.30 ჩანაწ.
7-VI, ბრაზილია — ინგლისი — 21.55.
8-VI, გფრ — ბულგარეთი — 20.30 ჩანაწერით.
11-VI, სსრ კავშირი — სალვადორი—20.30 ჩანაწ.
12-VI, ჩეხოსლოვაკია — ინგლისი—20.30 ჩანაწ.
12-VI, მექსიკა — ბელგია — დილით. ჩანაწერით.
14-VI, მეოთხედფინალი — 21.55.
15-VI, მეოთხედფინალი — 20.30 ჩანაწერით.
18-VI, პირველი ნახევარფინალი — საღამოს ჩანაწ.
18-VI, მეორე ნახევარფინალი—20.30 ჩანაწერით.
21-VI, მატჩი III ადგილისთვის — 11. 30 ჩანაწ.
21-VI, ფინალური მატჩი — 21.55.
დრო ყველგან თბილისისაა.

მეხიკო, მეხიკო...

მეხიკო, 29 მაისი. როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა IX ჩემპიონატის პირველ ფინალურ მატჩს სსრ კავშირისა და მექსიკის ნაკრებ გუნდებს შორის სჯის კ. ჩენჩერი (გფრ). მას კარგად იცნობენ ფეხბურთის გულშემატკივრები. 41 წლის მანძაიმელ კლერკს უმაღლეს დონეზე 19 მატჩი აქვს ჩატარებული.

ბაქოელ ტ. ბახრამოვს დავალებული აქვს მსაჯობა პერუსა და მაროკოს გუნდების მატჩში. მეორედ იგი გამოვა გვერდით მსაჯად მაროკოელებისა და ბულგარელების შეხვედრაში. ჯერჯერობით ფიფა-ს მსაჯთა კომიტეტმა მხოლოდ ქვეჯგუფებში დანიშნა არბიტრები.

●

ურუგვაელმა ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს წვრთნაში სიახლე შეეტანათ. მათ სასტუმროსთან ახლოს კორიდის პატარა სარბიელს მიაგნეს და ხარებთან გართობა მოისურვეს. მაგრამ ერთ-ერთი ხარი გაგულისდა და აზარტულად შეუტია ახალბედა ტორეადორებს. სპორტსმენებმა გაქცევით უშველეს თავს.

●

ჩემპიონატის მონაწილე გუნდებიდან ჟურნალისტები ყველაზე გათვითცნობიერებულად გფრ-ის ნაკრებს მიიჩნევენ. ამ გუნდის მეთვალყურენი რამდენიმე თვის მანძილზე მოგზაურობდნენ მთელს მსოფლიოში და მეტოქეებზე ცნობებს აგროვებდნენ. შედეგად, როგორც თვით გუნდის მწვრთნელმა შ. შიონმა თქვა, გფრ-ის ნაკრებს ასეთი ჩვენებების 15 კარგა მოზრდილი ტომი დაუგროვდა.

●

მექსიკელებმა ფიფა-ს ხელმძღვანელობას თავიანთ გუნდში ოთოფერეს შეცვლის ნებართვა სთხოვეს. როგორც ცნობილია, ამ ფეხბურთელმა წვრთნის დროს ფეხი მოიტეხა. ოფიციალური განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადა უკვე ამოიწურა, მაგრამ ჩემპიონატის მასპინძლების წამყვანი მოთამაშის საკითხი განსაკუთრებულად ითვლება.

ჰოსპიტალში მოხვდა პერუს ნაკრების ერთბაშად 3 ფეხბურთელი, მაგრამ გუნდის მწვრთნელი დიდი არ ღელავს. მისი სიტყვებით, ორსამ დღეში სამივე სპორტსმენი განიკურნება. გუნდების უმეტესობაში დაშავებული სპორტსმენები უკვე გამოჯანმრთელდნენ. წვრთნას კვლავ შეუდგნენ ურუგვაელი მაზურკევიჩი, ბულგარელები — თავდამსხმელი ასპარუხოვი და მეკარე სიმეონოვი.

●

„იმედი მაქვს, რომ მეტოქის კარში ბევრ ბურთს გაიტანთ“, — უთხრა ინგლისის ნაკრების კაპიტანს ბობი მურს კოლუმბიელმა მოსამართლემ პედრო დორადომ, რომელსაც აბარია „ოქროს სამაჯურის გატაცების“ გახმაურებული საქმე. მური მოულოდნელად დააპატიმრეს კოლუმბიაში, სადაც მას ამ სამაჯურის გატაცება დააბრალეს. დაიწყო ძიება, მაგრამ სასამართლო ჯერ არ ჩატარებულა. და აი, მოსამართლე დორადომ გადაწყვიტა ჯერჯერობით გაათავისუფლოს მური, მაგრამ მექსიკაში იგი დრო და დრო კოლუმბიის საელჩოში უნდა გამოცხადდეს. ამგვარად, მსოფლიო ჩემპიონთა ნაკრების კაპიტანი მექსიკაში ჩამოფრინდა და ტურნირში ითამაშებს.

პირველიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქროს ქალღმერთი და მისი - ფუძემდებელი

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორია განუყრელადაა დაკავშირებული ჟიულ რიმეს სახელთან, რომელიც 34 წლის განმავლობაში იყო ფეხბურთის საერთაშორისო პრეზიდენტის პოსტზე და რომლის სახელსაც ატარებს გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს თასი.

ჟ. რიმე 1873 წელს დაიბადა საფრანგეთში. იგი ბავშვობიდანვე თამაშობდა ფეხბურთს. 1897 წელს ჩამოაყალიბა „რედ სტარის“ საფეხბურთო კლუბი, რომელმაც მალე მოიპოვა პოპულარობა თავის ქვეყანაში.

რიმემ 1910 წელს შექმნა პარიზის ფეხბურთის გუნდების ლიგა, 1919 წელს იგი აირჩიეს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ და იმავე წელს — ფიფა-ს პრეზიდენტად.

ჟიულ რიმეს თაოსნობით 1930 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ჩემპიონატებს ფეხბურთში.

* * *

სურათზე: ჟ. რიმე სიტყვას ამბობს 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაზე ლოზანაში.

1930 წელი — ურუგვაი

1934 წელი — იტალია

სურათზე: (პირველ რიგში, მარცხნიდან) დორადო, სკარონე, კასტრო, სეა, ირიარტე. დგანან — გესტიდო, ნაზაცი (კაპიტანი), ბალესტეროსი, მაჩერონი, ანდრადე, ფერნანდესი.

ხუანიტო და პიკო

ნახ. გ. იაშვილისა.

ქიულ რიმეს თასის ლაურეატები

I

1930 წელი. მსოფლიო ჩემპიონი — ურუგვაი.

ჩემპიონატი ჩატარდა ურუგვაიში. მასში მონაწილეობისთვის მიიწვიეს: ჩილი, არგენტინა, საფრანგეთი, მექსიკა, იუგოსლავია, ბრაზილია, ბოლივია, ურუგვაი, რუმინეთი, პერუ აშშ, პარაგვაი, ბელგია.

ოთხ ჯგუფში გაიმარჯვეს: არგენტინამ, ურუგვაიმ, იუგოსლავიამ, აშშ-მ.

ნახევარფინალში მატჩები ასე დამთავრდა: არგენტინა — აშშ 6:1, ურუგვაი — იუგოსლავია 6:1.

ფინალი: ურუგვაი—არგენტინა 4:2.

II

1934 წელი. მსოფლიო ჩემპიონი — იტალია.

ჩემპიონატი ჩატარდა იტალიაში. მერვედფინალში მონაწილეობდნენ: იტალია, აშშ, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, გერმანია, ბელგია, ავსტრია, საფრანგეთი, ესპანეთი, ბრაზილია, შვეიცარია, ჰოლანდია, შვეცია, არგენტინა, უნგრეთი, ეგვიპტე.

მეოთხედფინალში გავიდნენ: გერმანია, შვეცია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, ავსტრია, უნგრეთი, იტალია, ესპანეთი.

ნახევარფინალში გავიდნენ: იტალია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, გერმანია.

ფინალი: იტალია — ჩეხოსლოვაკია 2:1 (დამატებით დროში).

III

1938 წელი. მსოფლიო ჩემპიონი — იტალია.

ჩემპიონატი ჩატარდა საფრანგეთში. მერვედფინალში მონაწილეობდნენ: გერმანია, შვეიცარია, იტალია, ნორვეგია, საფრანგეთი, ბელგია, უნგრეთი, ჰოლანდიის ინდოეთი, ბრაზილია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია, კუბა, რუმინეთი, შვეცია, ავსტრია (ამ უკანასკნელმა უარი თქვა თამაშებზე).

მეოთხედფინალში გავიდნენ: უნგრეთი, შვეცია, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, კუბა, ბრაზილია, ჩეხოსლოვაკია.

ნახევარფინალში გავიდნენ: უნგრეთი, შვეცია, იტალია, ბრაზილია.

ფინალი: იტალია — უნგრეთი 4:2.

IV

1950 წელი. მსოფლიო ჩემპიონი — ურუგვაი.

ჩემპიონატი ჩატარდა ბრაზილიაში. ფინალურ ჯგუფში გავიდნენ: ურუგვაი, ესპანეთი, ბრაზილია, შვეცია, რომლებმაც ფინალი გაითამაშეს წრიული სისტემით: ურუგვაი — 5 ქულა, ბრაზილია — 4, შვეცია — 2, ესპანეთი — 1.

V

1954 წელი. მსოფლიო ჩემპიონი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ჩემპიონატი ჩატარდა შვეიცარიაში. მერვედფინალში მონაწილეობდნენ: გფრ, თურქეთი, უნგრეთი, სამხრეთ კორეა, იუგოსლავია, საფრანგეთი, ბრაზილია, მექსიკა, ავსტრია, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, ურუგვაი, იტალია, შვეიცარია, ბელგია, ინგლისი.

მეოთხედფინალში გავიდნენ: გფრ, იუგოსლავია, ავსტრია, შვეიცარია, უნგრეთი, ბრაზილია, ურუგვაი, ინგლისი.

ნახევარფინალში გავიდნენ: გფრ, ავსტრია, უნგრეთი, ურუგვაი.

ფინალი: გფრ—უნგრეთი 3:2.

VI

1958 წელი. მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილია.

ჩემპიონატი ჩატარდა შვეიცარიაში. მერვედფინალში მონაწილეობდნენ: გფრ, არგენტინა, ჩრდილოეთ ირლანდია, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, პარაგვაი, შოტლანდია, იუგოსლავია, შვეცია, მექსიკა, უნგრეთი, უელსი, ბრაზილია, სსრ კავშირი, ინგლისი, ავსტრია.

მეოთხედფინალში გავიდნენ: გფრ, იუგოსლავია, საფრანგეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, შვეცია, სსრ კავშირი, ბრაზილია, უელსი.

ნახევარფინალში გავიდნენ: ბრაზილია, საფრანგეთი, შვეცია, გფრ.

ფინალი: ბრაზილია—შვეცია 5:2.

VII

1962 წელი. მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილია.

ჩემპიონატი ჩატარდა ჩილეში. მერვედფინალში მონაწილეობდნენ: ურუგვაი, კოლუმბია, სსრ კავშირი, იუგოსლავია, ჩილი, შვეიცარია, იტალია, გფრ, ბრაზილია, მექსიკა, ესპანეთი, ჩეხოსლოვაკია, არგენტინა, ბულგარეთი, უნგრეთი, ინგლისი.

მეოთხედფინალში გავიდნენ: ჩილი, სსრ კავშირი, იუგოსლავია, გფრ, ბრაზილია, ინგლისი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია.

ნახევარფინალში გავიდნენ: ბრაზილია, ჩილი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია.

ფინალი: ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 3:1.

VIII

1966 წელი. მსოფლიო ჩემპიონი — ინგლისი.

ჩემპიონატი ჩატარდა ინგლისში. მერვედფინალში მონაწილეობდნენ: ინგლისი, ურუგვაი, საფრანგეთი, მექსიკა, გფრ, შვეიცარია, არგენტინა, ესპანეთი, ბრაზილია, ბულგარეთი, პორტუგალია, უნგრეთი, სსრ კავშირი, ჩრდილოეთ კორეა, იტალია, ჩილი.

მეოთხედფინალში გავიდნენ: ინგლისი, არგენტინა, პორტუგალია, ჩრდილოეთ კორეა, სსრ კავშირი, უნგრეთი, გფრ, ურუგვაი.

ნახევარფინალში გავიდნენ: გფრ, სსრ კავშირი, ინგლისი, პორტუგალია.

ფინალი: ინგლისი — გფრ 4:2 (დამატებით დროში).

IX

1970 წელი. მსოფლიო ჩემპიონატი ეწყობა მექსიკაში. მერვედფინალში მონაწილეობას მიიღებენ: რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იტალია, სსრ კავშირი, შვეცია, ბელგია, გფრ, ინგლისი, პერუ, ბრაზილია, ურუგვაი, სალვადორი, მექსიკა, ისრაელი, მაროკო, ბულგარეთი.

მექსიკა[illegible] საზრუნა[illegible]

მას შემდეგ, რაც მეხიკოში, სასრულ[illegible] ტუმრო „მარია ისაბელის“ დარ[illegible] ბაზში, მსოფლიო ჩემპიონატის საორ[illegible] განიზაციო კომიტეტის თავმჯდომარი[illegible] სა და მექსიკის ფეხბურთის ფედერ[illegible] ციის პრეზიდენტის გ. კანედოს [illegible] წლის ქალიშვილმა საფეხბურთო [illegible] მიდას როლი შეასრულა და გამოარ[illegible] კვია მონაწილეთა ფინალური ჯგუ[illegible] ბი, უკვე 4 თვე გავიდა. მას შემ[illegible] საფეხბურთო სამყარო მკითხაობითა [illegible] პროგნოზებით ცხოვრობდა. მსოფლ[illegible] 16 უძლიერესი გუნდის მწვრთნელ[illegible] და მოთამაშეები არ კარგავდნენ [illegible] ერთ დღეს გადამწყვეტი თამაშებ[illegible] თვის მზადების საქმეში. იმართებო[illegible] საკონტროლო შეხვედრები სხვადასხ[illegible] სპარინგ-პარტნიორთან, მიმდინარეობ[illegible] ძირითად შემადგენლობათა ძიება, [illegible] თამაშები გადიოდნენ სიმაღლივ [illegible] ლიმატიზაციას და ა. შ. ასეთი [illegible] დება, რა თქმა უნდა, აწარმოა [illegible] კავშირის ნაკრებმაც.

ახლა, როცა ჩემპიონატი უკვე იწ[illegible] ბა, ზედმეტი არ იქნება შეგახსენოთ [illegible] ჯგუფში მოხვედრილი ჩვენი მეტ[illegible] გუნდების მწვრთნელთა ის სიტყვ[illegible] რომლებიც მათ წარმოთქვეს ჯერ [illegible] დევ მაშინ, კენჭისყრის დამთავრებისთ[illegible] ნავე.

რაიმონდ გუტალსი,

ბელგიის ნაკრების მწვრთნელ[illegible]

— კენჭისყრა იდეალურია ჩვენთვ[illegible] უკეთესზე ვერც ვიოცნებებდით. [illegible] არ ვიცნობთ სალვადორის გუნდს, მ[illegible]

1966 წელი — ინგლისი

მეცხრეამდე

ჩემპიონები

ს უ რ ა თ ზ ე: (პირველ რიგში) მეაცა, მონზეგილიო, ბერტოლინი, ორსი, სკიავიო. დგანან — კომბი (კაპიტანი), მონტი, ფერარისი-IV, ალემანდი, გუაიტა, ფერარი.

1938 წელი — იტალია

ს უ რ ა თ ზ ე: მეაცა (კაპიტანი), პიოლა, ბიავატი, სერანტონი, ლოკატელი, ფერარი, რავა, ფონი, ანდრეოლო, კოლაუსი, ოლივიერი.

1950 წელი — ურუგვაი

ს უ რ ა თ ზ ე: (პირველ რიგში) ჯიგია, პერესი, მიგუესი, სკიაფინო, მორანი. დგანან — ვარელა (კაპიტანი), ლოპესი (მწვრთნელი), ტეხერა, გამბეტა, გონსალესი, მასპოლი, ანდრადე.

1954 წელი — გ ფ რ

ს უ რ ა თ ზ ე: ფ. ვალტერი (კაპიტანი), ტურეკი, ეკელი, რანი, ო. ვალტერი, ლიბრიჰი, პოსიპალი, შეფერი, კოლმაიერი, მეი, მორლოკი.

ს უ რ ა თ ზ ე: მური (კაპიტანი), კონელი, ბოლი, ბენქსი, ჰანტი, უილსონი, სტაილსი, რ. ჩარლტონი, ტერსტი, პიტერსი, ჯ. ჩარლტონი.

1962 წელი — ბრაზილია

ს უ რ ა თ ზ ე: (წინა რიგში) ამერიკო (მასაჟისტი), გარინჩა, დიდი, ვავა, ამარილდო, ზაგალო, დე ასისი (მეორე მასაჟისტი). დგანან — მორეირა (მწვრთნელი), ჯ. სანტოსი, ზიტო, ჟილმარი, ზოზიმო. ნ. სანტოსი, მაურო (კაპიტანი), გოსლინგი (ექიმი).

1958 წელი — ბრაზილია

ს უ რ ა თ ზ ე: (წინა რიგში) გარინჩა. დიდი, პელე, ვავა, ზაგალო, ამარალი (მწვრთნელი საერთო ფიზმომზადებაში). დგანან — ფეოლა (უფროსი მწვრთნელი), ჯ. სანტოსი, ზიტო, ბელინი (კაპიტანი), ნ. სანტოსი, ორლანდო, ჟილმარი.

...ბალი ...ვავის ...ალაბეგანტი

...ამ, ვფიქრობ, შეეძლებთ მის დამარ...ებას. სსრ კავშირის ნაკრები ნაცნო...ია. 1968 წელს ჩვენ მასთან მოსკოვ...ი წავაგეთ ანგარიშით 0:1, თუმცა ...ეგულს ვიმსახურებდით. რაც შეეხე...ათ მექსიკელებს, ჩვენ ისინი ბრიუ...ელში დავამარცხეთ — 2:0 და მეხი...ოში წავაგეთ — 0:1. კმაყოფილი ...ართ, რომ გვიწევს „აცტეკის" სტადი...ონზე თამაში. გვეშინოდა, რომ დაწყება ...ფრი ნაკლებ სიმაღლეზე მოგვიხდე...ოდა, მაშინ კი აკლიმატიზაცია მო...ხდებოდა ფინალში მოგვიწევდა.

რაულ კარდენასი,
მექსიკის ნაკრების მწვრთნელი:

— ჯგუფი ძალიან მომწონს. ვიცით, ...ოგორ თამაშობენ საბჭოთა ფეხბურ...ელები, ვიცით, რა შეუძლიათ მათ. ...რა ბევრია, რომ ეს ფეხბურთი მკვეთ...ად შეიცვალოს ჩემპიონატისთვის. ვი...ნობთ ბელგიელებსაც და სალვადო...ის გუნდსაც.

გრეგორიო გუნდიო,
სალვადორის ნაკრების მწვრთნელი:

— ჩვენ, ალბათ, ყველაზე ახალგა...ზრდა გუნდი გვყავს. მისი საშუალო ...ასაკი 19 წელი. ჩვენი საუკეთესო მო...თამაშეებია როდრიგესი („პიკო") და ...გუნდის კაპიტანი მარიონა. წარმატე...ების დიდი იმედი არა გვაქვს, ვინაიდან ...ეგულია საერთაშორისო შეხვედრათა ...ამოდილება, მაგრამ ბედნიერები ...ართ, რომ ფინალს მივაღწიეთ. ეს ოქ...�ურცელია ჩვენი ფეხბურთის ის...ტორიაში. მეტოქეებს, მექსიკელთა გა...რდა, არ ვიცნობთ, მაგრამ... დასაკარ...გი ჩვენ არაფერი გვაქვს.

გავრილ კაჩალინი,
სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი:

— ჩვენ ნაწყენი არა ვართ, რომ შეგვხვდა პირველი და არა მესამე ჯგუ...ფი, მაგრამ თამაში ჩემპიონატის მას...პინძლებთან 110 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, რა თქმა უნდა, ძნე...ლია. კენჭისყრის შედეგები ჩვენგან მოითხოვს გულდასმით მზადებას. მე...ტოქეებს რიგიანად გავეცნობით ჩემ...პიონატის დაწყებამდე.

• • •



რ ოგორც ხედავთ, ყველა მწვრთ...ნელი ოპტიმისტი აღმოჩნდა და კენჭისყრით კმაყოფილია, მაგრამ ვინ იცის, გულახდილად გამოთქვეს მათ თავიანთი აზრი?

ამ 4 თვის მანძილზე ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში, რასაკვირველია, 16 ფინალისტი იყო და განსაკუთრებული, საგანგებო აღ...ნიშვნის ღირსია შეხვედრები მათ შო...რის. სპეციალისტების, მწვრთნელებისა და ჟურნალისტთა კომენტარების სიმ...ცირე არ იგრძნობოდა: წერდნენ ყვე...ლაფერზე, მაგალითად, მოთამაშეთა ჯანმრთელობაზე, გუნება-განწყობაზე, გუნდების ტაქტიკურ სქემებზე, გაშვე...ულ და გატანილ გოლებზე, მწვრთნე...ლთა დანიშვნა-განთავისუფლებაზე... ამ ხანში სალვადორში დაიწყო და მოთავდა გაფიცვა, როცა იქაური მო...თამაშეები მოითხოვდნენ ფეხბურთის ფედერაციის მიერ ფინალში გასვლი...სთვის დაპირებული კომპენსაციის ანა...ზღაურებას და ა. შ.

ვ. კაჩალინს არ დაუფარავს, რომ წინასწარმა ტურნემ გამოავლინა ჩვენ...ი გუნდის ნაკლოვანებანი, განსაკუთრე...ბით თავდასხმის ხაზში, სადაც არ იგ...რძნობოდა საერთო შეთამაშება და ინ...დივიდუალურ მოქმედებათა გარდაქმ...ნა კოლექტიურად. ამიტომ მოხდა ნაკ...რებში გარკვეული ცვლილებები ჯერ კიდევ მზადების ადრეულ ეტაპზე. მას...ში შეყვანილ იქნენ მეტრეველი, ევრი...უჟისინი, პორკუიანი. ყველა ეს ფეხ...ბურთელი განაპირა თავდამსხმელია და მათი არჩევით კაჩალინმა გვაგრძნობინ...ნა, რომ ანგარიშს უწევს ფლანგური შე...ტევას. მართლაც, ზოგიერთი გუნდის დაცვის ცენტრში 6-8 მოთამაშე იყრის თავს. და ამ დროს ხელსაყრელი იქნე...ბოდა ფლანგური იერიშების წარმოე...ბა, ამას გარდა, ტრავმებმა მოითხოვა სხვა ხასიათის შეცვლებიც.

ჩვენი გუნდის დაცვას შესტერნიო...ვის მეთაურობით შეუძლია ყოველგვა...რი სირთულის ამოცანას გაართვას თა...ვი და იგი გუნდის ყველაზე საიმედო რგოლად მიგვაჩნია. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ნაკრებს ჰყავს ძირითად...ი ბირთვი და კოლექტივს შეუძლია განამტკიცოს 1966 წლის ლონდონის წარმატება.

ვ. კონედელნიკი,
სპორტის დამსახურებული ოს...ტატი.

ფინალისთვის კოლიტიელებიც მოემზადნენ

მეხიკო საფეხბურთო დედაქალაქია და ფეხბურთის მოყვარულები დიდ ექსცესებს უნდა ელოდნენ. 1968 წლის 2 ოქტომბერს ოლიმპიური თამაშების წინ გამართულმა სისხლისღვრამ მეხიკოში 273 ადამიანი იმსხვერპლა (მათ შორის, 26 ბავშვი), 1600 კაცი დაშავდა, ათასები კი დააპატიმრეს. მექსიკის ციხეებში დღესაც ზის 80 სტუდენტი — დემონსტრაციის ლიდერი.

ახლა მეხიკოში შეარჩიეს 5000 ახოვანი პოლიციელი და დეტექტივი, რომლებიც საგანგებოდ მოემზადნენ. წესრიგის მცველთა არსენალში, გარდა ჩვეულებრივი ხელჯოხებისა, შედის ცრემლსადენები, სპეციალური პლასტმასის ფარები და ამერიკის შეერთებული შტატებიდან საიდუმლოდ მიღებული რამდენიმე ჯავშნოსანი მანქანა. ამ უკანასკნელებს სტუდენტებმა უკვე შეარქვეს სახელი — „კუბოები“. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოეწყო „პოლიციელთა“ და „სტუდენტთა“ შეჯახების რეპეტიცია, რომელსაც ესწრებოდნენ ოფიციალური პირები სამხედრო წრეებიდან და მეხიკოს მერი ალფონსო კორონა დელ როსპლი. წვრთნის შემდეგ მერმა კმაყოფილებით განაცხადა, რომ წესრიგის მცველები ახლა გაცილებით უფრო გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული არიან, ვიდრე 1968 წელს იყვნენ. ამასთან, დამცველი პოლიციის, კრიმინალისტებისა და საგზაო პოლიციის საქმიანობის სათანადო კოორდინაციის მიზნით, დედაქალაქის მთელი პოლიციის მოქმედება დაექვემდებარება საგზაო პოლიციის ყოფილ შეფს, გენერალ ვეგა ამადორს. მის განკარგულებაშია 5181 პოლიციელი, რომელთაც იგი გამოიყენებს ნებისმიერ დროს, დაუყოვნებლივ. ამადორის განკარგულებაშია, აგრეთვე, 504 მანქანა და ათამდე ჯავშნოსანი.

შეჯახების ცრუ სცენის ჩატარება ადგილობრივ ხელისუფლებს სტუდენტთა დასაშინებლად დასჭირდათ. სტუდენტთა მღელვარება მოსალოდნელია სწორედ გამარჯვების ქალღმერთის გათამაშების დროს, როდესაც მთავრობა და ხელისუფლება ყველაზე მეტად არიან დაკავებული. სტუდენტებმა უკვე გამართეს მეხიკოსგან მოშორებით თავყრილობა, სადაც ითათბირეს, როგორ იმოქმედონ ფინალის დღეებში.

მთავრობა იმედოვნებს, რომ გაძლიერებული ყურადღებით თავიდან აიშორებს მდგომარეობის რაიმე გართულებას.

„მორნინგ სტარიდან“ თარგმნა

ა. გეგეჭკორმა.



ესტაფეტის გადაცემა.

ნახ. გ. იაშვილისა.

იუმორი

მორიგი კონკურსი

ეძღვნება მექსიკის მსოფლიო პირველობას ფეხბურთში.

საკონკურსო შეკითხვები:

1. რამდენი გატანილი ბურთით გახდება გივი ნოდია მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი?

2. კახი ასათიანის გარდა კიდევ რომელი 10 ფეხბურთელი შევა მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში?

ნ. ოსიძე.

ცხინვალი.

გორი გამგზავრების წინ

ამ ტურნირში სათამაშოდ საქართველოს ორგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაიაც იყო მოწვეული, მაგრამ მისთვის მაყურებლებშიც არ მოგვიერავს თვალი. და აი, VI ტურში ალა დარბაზში გამოჩნდა.

— არ შემეძლო ერთხელ მაინც არ დავსწრებოდი ტურნირს, — გვითხრა ჩაიკოვსკაიამ. — ჩემმა ირინამ, რომელიც ახლა წოლისაა, „დამატყვევა“. მისი მიზეზით შარშან გორში, საკავშირო ჩემპიონატში ვერ ვითამაშე და წლევანდელ გამოვეთიშე საჭადრაკო ცხოვრებას.

ვსაუბრობთ და პარტიებს ვადევნებთ თვალს.

ნ. ჩიქობავამ ენერგიული იერიშით მოუგო საერთაშორისო ოსტატ ო. ანდრეევას (ხარკოვი), ქ. რაძიკოვსკამ (პოლონეთი) ა. გეორგიევასთან (ბულგარეთი) და მ. მერლინმა (იუგოსლავია) ლ. კოროშინაძესთან დროს გადაიცილეს და მათ წაგება მიესაჯათ.

— დედა-შვილმა „ოჯახური კონფლიქტი“ არ გვაყურებინა, — იხუმრა ჩაიკოვსკაიამ, როცა ოლღა და ელენე რუბცოვები დაზავდნენ. ყაიმით დამთავრდა ც. კობაიძე — ა. ნიკოლაუს (რუმინეთი) შესვედრაც.

VI ტურს ლიდერები არ შეუცვლია: ე. რუბცოვასა და ნიკოლაუს ახლა 5-5 ქულა აქვთ, გეორგიევას — 4, ხუგაშვილს — 3,5 (1), ჩიქობავას — 3,5 და ალექსანდრიას — 3 (1).

გუშინ, გვიან საღამოს დამთავრდა VII ტური. დღეს დილით ტურნირის მონაწილენი გორს გაემგზავრებიან, სადაც გ. ერისთავის სახელობის თეატრში VIII ტურით შეჯიბრების მეორე ნახევარი დაიწყება.

თ. გიორგაძე.

ეს ვერაგი ორქელი

მინსკი, 29 მაისი. სსრ კავშირის პირად-გუნდურ ჩემპიონატში მოასპარეზეზე „დინამოს“ ტანმოვარჯიშე ქალებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი მაღალი კლასი. სავალდებულო პროგრამით გუნდურ შეჯიბრებაში გუშინ მათ 224,45 ქულა დააგროვეს. შეიარაღებული ძალების სპორტსმენები II ადგილზე არიან — 219,30. სპარტაკელებს III ადგილი ხვდათ — 218,25.

ქვეყნის ჩემპიონს, „სპარტაკის“ ნაკრების პირველ ნომერს ლ. ბურდას (ვორონეჟი) საუკეთესო შედეგი აქვს — 37,95. II-VII ადგილებზე არიან დინამოელები: მოსკოველი ს. ვორონინა (37,85), გროზნოელი ლ. ტურიშჩევა (37,75), ვიტებსკელი თ. ლაზაკოვიჩი (37,55), ტაშკენტელი ე. საადი (37,2), რიგელი ტ. შჩეგოლკოვა (37,1) და ბათუმელი რ. სისარულიძე (36,92).

სად არის ო. კარასიოვა, რომელმაც შარშან ზაფხულს აქ, მინსკში, სულ ახლახან კი გდრ-ში ორჯერ აჯობა ევროპის ჩემპიონს კ. იანცს? არმიელთა გუნდის ლიდერს მხოლოდ 36,15 ქულა აქვს. თავდაპირველად საქმე კარგად მიდიოდა. თავისუფალ ვარჯიშში კარასიოვამ 9,7 ქულა მიიღო, ხტომისთვის — 9,55, დვირზე — 9,3. სამაგიეროდ კარასიოვას ორძელმა უღალატა, მან მარცხით დაამთავრა ვარჯიში და... 7,6 ქულა მიიღო.

ბედმა უმტყუნა ო. კორბუტსაც. 15 წლის ბელორუსიელი ტანმოვარჯიშე შარშანდელ საკავშირო პირველობაში გამონაკლისის სახით დაუშვეს. მაშინ მან სპეციალისტები გააკვირვა ტრიუკების კასკადით, ახლა კი ორძელიდან ჩამოვარდა და 7,6 ქულა მიიღო. ტანმოვარჯიშეები ვერაგ იარაღს დვირს ეძახიან, მაგრამ თურმე ორძელსაც შეძლებია უსიამოვნო წუთების მოტანა...

დაძაბული იყო გუნდური შეჯიბრება სავალდებულო პროგრამით. აქ ბრძოლა გაჩაღდა კოლექტივის ღირსების დასაცავად და თექვსმეტის რიცხვში მოსახვედრად, რომლებიც აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებენ. ამასთან ნაკრების კანდიდატები მსოფლიო ჩემპიონატის წინ ცდილობდნენ ძირითად შემადგენლობაში გაენაღდებინათ ადგილი.

ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონი ცნობილი გახდება 30 მაისს ნებისმიერი პროგრამით შეჯიბრების შემდეგ. დღეს სავალდებულო პროგრამით ასპარეზობდნენ ვაჟები.

9:6, 2:7

თბილისი. საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის აუზი. 28 მაისი.

სსრ კავშირი — უნგრეთი 9:6 (4:1, 0:1, 2:2, 3:2).

სსრ კავშირი: გულიაევი, აკიმოვი, დრეველი (გაიტანა 1 ბურთი), ბუშკარიოვი, ქმუდსკი (1), სემიონოვი (2), ბარკალოვი (1), შიდლოვსკი (4).

უნგრეთი: ჩერვენიკი, ფარაგუ, ჩოპუ, კოლერი, სერი (2), დეაკი (1), კონრადი (1), ბორზი, გაიდოკი, ურბანი (2).

მსაჯი — ფუქსი (ბელგია).

* * *

29 მაისი.

საქართველო — უნგრეთი 2:7 (0:1, 1:3, 1:2, 0:1).

საქართველო: გულედანი, კურტანიძე, წიკლაური, სეროფიანი, მიმინიშვილი (1), ისელიძე, დადიკაძე (1), უმანგიშვილი.

უნგრეთი: ჩერვენიკაკი, ფარაგუ (1), ჩოპუ (1), კოლერი, სერი, დეაკი, კონრადი (3), ბორზი (1), გაიდოკი, ურბანი (1), შტეინმეცი.

მსაჯი — ფუქსი.

თუ პირველ მატჩში უნგრელები საბჭოთა ნაკრების სახით ძლიერ მეტოქეს შეხვდნენ, საქართველოს წყალბურთელთა ნიჭიერ, მაგრამ გამოუცდელ კოლექტივს მათთან თანაბრად ბრძოლა აშკარად გაუჭირდა.

საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრაში ინიციატივას თავიდანვე უნგრელები დაეუფლნენ და მათ გახსნეს კიდეც ანგარიში (ურბანი). მაგრამ ეს იყო და ეს. შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს და უნგრელები მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირებაზე ფიქრობდნენ. მატჩის მიწურულს კი უნგრეთის გუნდის მოთამაშეებს დაღლა დაეტყოთ, რითაც ისარგებლეს საბჭოთა წყალბურთელებმა და ბოლო წამებზე ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს.

საქართველოს ნაკრებმა კი მხოლოდ მატჩის პირველ პერიოდში შეძლო ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია მეტოქისთვის. ბოლო პერიოდში საინტერესო ამბავი მოხდა: კურტანიძემ 4-მეტრიანი საჯარიმოდან ძელს მოახვედრა ბურთი, რომელსაც სწრაფად დაეუფლნენ უნგრელები, მაგრამ საპასუხო შეტევა უშუსტო გამოდგა. მასპინძლებმა დაუყოვნებლივ გადააწოდეს კურტანიძეს, რომელიც მოედნის ცენტრში, მეკარის პირისპირ იყო. საბოლოო დარტყმა მას არ დაეცალა უნგრელთა წინ გამოსულმა... მეკარემ.

ჯუჯინ...

გაიმართა უნგრეთისა და სსრ კავშირის წყალბურთელთა ბოლო მატჩი, რომელიც [illegible]ა ფრედ — 3:3.

ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲥᲘ

● **ბარსელონა, 29 მაისი.** ათჰიდელთა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი მოიგო შვედმა ლ. ჰედმარკმა, რომელმაც თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 7779 ქულა. II ადგილზეა ჰ. პერკი (გფრ) — 7728.

● **რიგა,** *29 მაისი. ლატვიის დედაქალაქის მძლეოსნებმა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირების — მშობლიური ქალაქის თასების გათამაშებისთვის მზადების პერიოდში თავიანთი პირველობა ჩაატარეს და ბევრი მაღალი შედეგიც მოიპოვეს. მ. საულიტემ შუბი 56,74 მეტრზე ტყორცნა (სეზონის მესამე შედეგი მსოფლიოში) და თავისივე რესპუბლიკური რეკორდი 46 სანტიმეტრით გაუმჯობესა. პირადი მიღწევა დაამყარა ვ. ფელდმანისმა, რომლის შუბიც 81,06 მეტრზე დაეცა. 400 მეტრზე ა. დუნდარემ 55,1 აჩვენა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სარბიელს ი. ვერბელეი, რომელიც ახლა ბარკანეს გვარს ატარებს. მისი შედეგია 55,9.*

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

1 ივნისი

სსრ კავშირის პირველობა

I ᲯᲒᲣᲤᲘ

„ლოკომოტივი“ (თბილისი)
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)

2 ივნისი

სსრ კავშირის თასი

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)

მატჩების დასაწყისი 19 ს.

„ᲠᲝᲑᲘᲜ ᲰᲣᲓᲔᲒᲡ“ ᲛᲖᲔ ᲣᲦᲘᲛᲘᲗ

მოსკოვი, 27 მაისი. ლვოველმა მსოფლიო ჩემპიონმა, 23 წლის ტ. ობრაზცოვამ და მსოფლიო რეკორდსმენმა, 34 წლის ი. სანდელინმა (ფინეთი), მოიგეს მშვილდოსანთა აქ გამართული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 10 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

მზე მხოლოდ ტურნირის ბოლო, მეოთხე დღეს გამოვიდა. ყველაფერი ერთბაშად გარდაიქმნა, „ათამაშდნენ“ ფერადი სამიზნეები, ლუფნიკის მცირე სპორტული სარბიელის ზურმუხტოვან მინდორზე ერთფეროვანი, ჩამუქებული ქოლგების ნაცვლად მშვილდოსანთა ჭრელ-ჭრელი ქუდები გამოჩნდა. მშვილდოსნობა მომხიბლავი სპორტია, მაგრამ არა იოლი. საკმარისია ითქვას, რომ ამ შეჯიბრების ყოველმა მონაწილემ ოთხი დღის განმავლობაში დაახლოებით ტონამდე ტვირთი „ასწია“.

საოცარი სანახავი იყო, რა მსუბუქად და ძალდაუტანებლად გზავნიდნენ ისრებს სპორტსმენები მიზანში: მონაწილეთა უმრავლესობა ხომ გარეგნობით სულაც არ ტოვებდა ათლეტის შთაბეჭდილებას. მოსკოველი გაპჩენკო, რომელიც გამარჯვებულ ობრაზცოვას სულ 64 ქულით ჩამორჩა (მან 2880 შესაძლებლიდან 2183 ქულა დაგროვა), ბალერინას უფრო ჰგავს. იგი მშვილდოსნობაში სულ 6 წელია ვარჯიშობს. ამ შეჯიბრებამდე გაპჩენკოს მხოლოდ ერთი ჯილდო ჰქონდა მიღებული. ეს იყო სიგელი... საბალო ცეკვების კონკურსში მონაწილეობისთვის.

სპორტის ეს უძველესი სახეობა იმითაცაა კარგი, რომ აქ სარბიელზე ვეტერანებსაც შეუძლიათ წარმატებით გამოსვლა. ჩეხოსლოვაკიელი ფ. ფრიგაუფი უკვე 64 წლისაა, მაგრამ იგი დიდი აზარტით ეჯიბრებოდა ახალგაზრდებს, თითქმის შვილიშვილებად რომ შეჰფეროდნენ.

90, 70 და 30 მეტრზე შეჯიბრებაში გამარჯვებული სანდელინის საერთო შედეგია 2248 ქულა (ობრაზცოვამ და სანდელინმა თითქოს მოილაპარაკეს — 50 მეტრზე შეჯიბრებაში პირველობა ორივემ „დათმო“). ვაჟებში II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, ლვოველმა ვ. სიდორუკმა — 2189 ქულა. III ადგილზეა ლენინგრადის დინამოელი, ქვეყნის ჩემპიონი მ. პეუნოვი — 2166 ქულა.

ქალთა შეჯიბრებაში ობრაზცოვა პირველობდა 70, 60 და 30 მეტრზე. III ადგილი დაიკავა კიეველმა ლ. გრიშჩენკომ (2159).

ერთი თვის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში ევროპის მორიგი ჩემპიონატი დაიწყება.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. УЦ 08203